



# ქართული დრამა

832  
1966

Հայական պատմությունները պահպանվում են առաջնահարցություն ունեցող գործառություններում:

N° 44

ঢ ০ ৬ ৫ ৫ ৬ ০:


ჟილა—შოთა რუსთაველი.  
აღ. მათირინგვილი—სევდა და სიხარული «ვეფხის ტყაოსანში».  
ამირანი—დღესასწაული—ტყვეობაში.  
ამხ. შალვა აბდუშელის ხსოვნას.  
გ. წ.—ლომაშვილის წიგნის გამო.  
გ.—რუსულ ემიგრაციაში.  
ი. ბაზველი—თერთმეტი შეილის დედა.  
ნიკოლოზეგები და სხვ.

3300

6 2 0 0 0 0 0

P a r i s.

1966



୩୦୨୨୮

୧୧୬୬ — ୧୯୬୬

ସୁଲଭତାତର ଗାନ୍ଧି ଜୀବନ ଗାଥିକା,  
ଏହିପଦା ଉକ୍ତା ଜୀବନ ମଧ୍ୟରେଣ୍ଟିଲ୍.

ଅଶ୍ରୁ.

## შოთა ჩუსთაველი

ვინ მოიხიდოს შვენებით შორეულ უამთა ციალი,  
ჩვენი სამშობლოს დიდება, ჩვენი დროშათა ფრიალი!  
რვა საკუუნის მანძილზე ბედის უსაზღვრო ტრიალი,—  
ვით ოკეანე მდელვარე, წლვათა ზატე და გრიალი!

ყინულისგან დაზრულ ყვავილის ფიქრმა წაშალა ხსენება,  
თამარის ოქროს ხანიდან ძლევით გამოპერთის შვენება!  
შოთას დიადი ძახილი, შოთას ფიქრი და ჩვენება,—  
სიცოცხლის მაღალ კვარცხლბეჭზე გვირგვინათ დაეშენება!..

მალინდან მნათობთ ტარება ვეფხის ტყაოსნის მჩენია,  
სამშობლოს ცა და ა ბელელთხე მზის შუქი გაღმოფენია!  
რუსთველის პაზრი, პანგები ცხოვრებით მონადენია,—  
ქართველი ერის ხსენება, ქართველი ერის გენია!..

როს საქართველოს თავს აწევს მოდენილ მტერთა ხროვანი,  
ქართველი მაინც ზეიმობს, გაღუფანტია გლოვანი!  
შოთას დლეობა ამხნევებს, ერის ბრძოლა და ლტოლვანი:  
— «სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკედილი სახელოვანი!»

ლრუბლით მოსილ დლის სივრცეში ლომი დაპქრის მთადა ველათ!  
ტარიელი სატრფოს უხმობს სიყვარულის დასახსნელათ,  
და ნესტანი ქავეთს ებრძეის თვით საქვეყნო ფიქრთა მცველათ,—  
ტყვე, ვით ვეფხი მეომარი, ბორკილების დასამსხვრველათ!

სიყვარულმა გამოსჭედა თვით ნესტანის მტკიცე გული,  
სატრფოსათვის თავდაცება და სამშობლოს სამსახური,  
ვით ნაკადი კლდის ნაპრალში მონავარდე, მოარული,  
მისი სახე, მისი საქმე,—მზიური და რაინდული!..

და ნესტანის ბედის მხსნელათ გარს შეპმოკრბა გმირთა დასი,  
ავთანდილი წინ მიუძღვის, ვით ბრძენი და, ვით მამაცი!..  
და ასმათ ერთგულობით უებარი დედაკაცი!  
— ფატმანობა საჭიროა, თუ საქვეყნო პქნიდეს ფასი!

სიყვარულმა ზვირთი დასძრა, სიყვარულმა პშვა გმირები,  
თინათინის დავალებამ—ავთანდილის ძლევის ხმები!  
გულმა გული იგრძნო უმალ, ფიქრმა ფიქრი გასაგები,—  
და დიადი მეგობრობა—სიყვარულით ნაბრძანები!..

გარღვევალ კაშთა ძახილში ყოფნის ჩარები!..  
 ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ: დაპრევეს ციხის კარები!..  
 ზექ წამოდგა წესტანი, ბორკილში განატარები,  
 თავისუფლება ერისა—წესტანის სახის ტარები!..

თამარის ხედვა შუქსა პეტენს, ვით თინათინის მზეობა!..  
 საქმე მეფისა თამარის—წესტან-დარეჯნის მხნეობა!  
 ერის წყობაში, მოვლაში, ქალის სიმტკიცე, მძღეობა,  
 —შოთას გზები და ფიქრები, შოთას სიბრძნე და ზნეობა!..

ვეფხის ტყაოსანს, ტარიელს, ბევრი გადახდა ოშები,  
 სამშობლოს მოსაპოებლათ წესტან-დარეჯნის ზომები!..  
 გადაიშალა ცხოვრების ზღვა ხშირათ მოსაგონები—  
 —«მიეც გლახაჟთა საჭურულე, ათავისუფლე მონები!..»

შორით დაიძრა მნათობი, ჩვენი ცხოვრების ჩვენება,  
 ვეფხის ტყაოსნის ძახილი, ვეფხის ტყაოსნის მშვენება!..  
 შოთას პაზრი და პანები, —  
 სიცოცხლის მაღალ კვარცხლბეკშე გვირგვინათ დაეშენება!..

ღილა.

### სივრცა და სისტატი „ვაფესის ტყაოსანში“

(ნაწყვეტი გმიღებული განცდების მე-3 ნაწილიდან: ქრძნება)

ადამიანის გრძნობათა საშეარო მეტად რთულია; თვითეული გრძნობა თავისებულ სახს ილებს იმის მიხედვით, თუ რაგვარი სიძლიერით იჭრება იგი ადამიანის ფსიქიკაში, რაგვარი სულიერი განწყობილება ხვდება მას ამ ფსიქიკაში, რა სახის პიროვნებას წარმოადგენს ამ ფსიქიკის პატრონი, რა გარეგან პირობებში უხდება მას ცნობიერების დაუფლება. ერთი სიტყვით, თვითეული გრძნობა დამოკიდებულია ერთდაიმავე დროს ადამიანის შინაგან და გარეგან, სუბიექტურ და ობიექტურ პირობებისაგან.

და რადგანაც ამ პირობათა ვარიაცია მეტად მრავალგვარია, გრძნობა ადვილად იცვლის ნიუანსებს და თვითეულ შემთხვევაში თავისებულ სახს ილებს; დამოუკიდებელ, სხვების განსხვავებულ შთაბეჭდილებას სტოვებს და ამგარად გრძნობათა მრავლიანობას განუსაზღვრელად გვისახავს.

მიუხედავად ამისა ჩვენ შეგვიძლია ამ გრძნობათა სიმრავლეში მაინც გავარჩიოთ მცირე რიცხვის ძირითადი გრძნობები, რომლებიც ჩვენს სულიერ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ, რომლებიც მთელი ჩვენი ემოციურობის შემქნელი არიან და რომლებიც «ვეფხის ტყაოსანში» გარკვევით ისახებიან.

ჯერ კიდევ დეკარტი თავის «სულის უნებანი» (ლე პასიონ დე ლ'ამ)-ში აღნიშნავს:

«მაგრამ რიცხვი ამ გრძნობებისა, რომლებიც მარტივი და პირველადი არიან, არ არის ძალიან დიდი, ვინაიდან მათი შესწავლის დროს ... ჩეენ ადვილად ვამჩნევთ, რომ ასეთები არიან მხოლოდ ექვსი; სახელმობრ: ალტაცება-მოხიბლვა (ადმირალონ), სიყვარული, სიძულვილი, წადილი (დეზირ), სიხარული და სევდა» (არტიკულ L XIX) გვ. 115.

დეკარტის კლასიფიკაცია საინტერესოა, ხოლო იგი თავის მთლიანობაში სავალდებულო არაა;

ამიტომ «ვეფხის ტყაოსანის» განხილვასთან დაკავშირებით ჩეენ განვიხილავთ გრძნობებს შემდეგი სახით: 1) სევდა (ტრიასტესს) და სიხარული (უჟა), 2) სიყვარული და სიძულვილი, 3) წუხილი (ენკიერიულ) და შფოთვა-შინება (ანგუასს), 4) სასოწარკვევეთილება და იმედი, 5) მეგობრობა და სიმპათია.

ჩეენ არც ამ კლასიფიკაციას გთვლით სავალდებულოდ გრძნობათა ზოგადი შესწავლისათვის; ეს გრძნობები ჩეენ მიგვაჩინა ხელსაყრელად მხოლოდ «ვეფხის ტყაოსანი»-ს ტექსტის განხილვისა და მისი გმირების სულიერ სამყაროს ნათლად წარმოდგენისთვის.

კერძოდ, ამ ჩეენს წერილში ჩეენ დავემაყოფილდებით გრძნობათა მხოლოდ პირველი წყვილით: ხევდით და ხინარელით.

პოლ რობერის 1964 წელს გამოსულ «ფრანგული ენის ალფაბეტურ და ანალოგიურ ლექსიკონ»-ში ვკითხულობთ:

«სევდა—არის ემოციური მდგომარეობა ძნელად ასატანი (პენიბლ). წყნარი, ხანგრძლივი; იგი იპყრობს ცნობიერებას ტანჯვა-მწუხარებით, უკმაყოფილებით, ცუდათ ყოფნის გრძნობით...»

თანამედროვე ფსიქოლოგის გავებით სევდა და დარდი ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე მძლავრად მოქმედებენ ადამიანის ფსიქიურ ფუნქციების დასუსტებით და გამრუდებით.

სევდის ეს თვისებები იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი არიან, რომ ისინი ადამიანის გარეგან, ფიზიკურ გამოსახულებაშიც ნათლად იხედებიან; სარტრი ერთ აღგილას დაახლოვებით ასე ახასიათებს ამ გრძნობას:

«სევდით შეპყრობილი ადამიანი ხალხს ემალება; იგი განცალკევებას ცდილობს; ბნელ, ცუდათ განათებულ კუჭიულს ექვება; სინთალეს და ხმაურობას გაურბის; ყოველგვარ მოქმედებას ერიდება; თავს მიწისკენ ხრის, თვალებს ნახევრად ან სრულიად ხუჭავს; მისი გარევნობაა: მყრთალი ფერი. მოდუნებული კუნთები, ჩამქრალი, უტემბრო ხმა, ზანტი მოძრაობა, ინდიფერენტული, სივრცეში დაკარგული გამოხედვა და სხვა; ერთი სიტყვით, უველა ის ნიშნები, რომლებიც მოქმებისთვის გამოუდევებარ ადამიანს ახასიათებს».

უან მეზონოვიც შეეხო სევდის საკითხს; მეზონოვი, რომ ფრანგ არ იყოს ან მან რომ ქართული იცოდეს, ვიტყოდით:

მას სწორედ ტარიელი ჰყავს მხედველობაში, როცა იგი  
 სწერს:

«სევდა თავისი პოსტის დატოვებაა.... იგი უტყუარად  
 ადამიანს ყველაფერზე ხელის ალების, აბსოლუტურ სასოწა-  
 რკვეთილების გზისკენ მიაქანებს. რამდენადაც ეს სევდა უფ-  
 რო ნათლად მცვრდეტია, მით უფრო ადვილად არწმუნებს იგი  
 ადამიანს, რომ მან ბრძოლაშე ხელი უნდა აიღს და თავისი  
 უმწეო მდგომარეობის ამაოება შეიგრძნოს; სევდა უფრო მა-  
 ვნება ვიტრე ტყივილი, რადგანაც იგი ადამიანის მიერ თავი-  
 სად მიჩნეულია... და (რადგანაც იგი ალარატერს ეძებს, ალა-  
 რატერს აყურებს); სევდა სრულყოფი ნეგატიური ქცევაა; იგი  
 ამ თავითვე სიკედილის და არარაობის მიღებაა .... სწორედ  
 ამიტომ მორალისტებმა იგი სამუდაშორ დაპგმეს; იგი ერთად  
 ერთი გრძნობაა, რომელიც სპინოზაზ აბსოლუტურად, უნა-  
 ყოფოდ აღიარა». გვ. 57, 58.

ყოველივე ეს რუსთაველმა კარგად დაინახა და «ვეფხის  
 ტყაოსანში» სისწორით გადმოგვცა.

ტარიელის ვნება სწორედ სევდის და დარღის ფონზე იშ-  
 ლებოდა; ნესტანის დაკარგვამ და მისი პოვნის შეუძლებლად  
 მიჩნევამ, ტარიელის სულიერი სამყარო სევდით, დარღით,  
 მწუხარებით, უიმედობით და სასოწარკვეთილებით გაავსეს.

ტარიელის ეს სევდა უზომოდ დიდი იყო; ამ სევდამ ტა-  
 რიელის მთელი არსება შეიძყრო და მთელი მისი სულიერი  
 და ფიზიკური სამყარო დაიიფლა;

ეს სევდა ნესტანის დაკარგვის შემდეგ ტარიელის გრძნო-  
 ბათა სამყაროს მთავარი ელემენტი გახდა: ყოველივე, რასაც  
 იგი აკეთებდა, ფიქრობდა და გრძნობდა ამ სევდის ფონზე იშ-  
 ლებოდა და მის ელფერს იღებდა; დღე და ღამე, შინ და გა-  
 რედ ეს ღრმა სევდა ტარიელს თავს დასტრიალებდა და მას  
 საშველს არ აძლევდა.

ამ გარემოების ასახვას ჩვენ ნათლად გადმოგვცემს ტარი-  
 ელის «ვეფხის ტყაოსანში» პირველივე გამოჩენა:  
 ნახეს უცხო მოყვე ვინძე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,  
 შავი ცხენი სადავითა პყავა ლომესა და ვითა გმირსა,  
 ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ უნაგირსა.

ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გვლესა მდუღრად ანატიონსა,  
 — სტრ. 84.

წავით მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად,  
 თავ ჩამოგდებით მტირალსა, არ ჭვრეტით მდელიხდარისად  
 მუნჯე წვიმს წვიმა მრიდლისა, ჰეია გიმრისა ღარი სად,  
 ანდობს მივიდა, მოსხვალდა ხიტყვისა თქმად აღარისად.

— სტრ. 86.

მის მონისა არა ეხმა ხიტყვა, არცა ნაუბარი,  
 მათ ლაშქართა ზანილისა იყო ერთდღ უგრძნიბარი,  
 უცხო რადმე ამოსკვნოდა გული ეცცლთა ნადებარი,  
 ცრემლსა სისტლი ერეოდა, გასდის, ვითა ნაგუბარი.  
 — სტრ. 88.

სწავაგან ჰქონის შიხი გონიერი, მისმან თავისა წილამან!

ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა პერაფრა მონაშია.

არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან.

არცა განლიჩა ბაგეთათ თავი გარდისა კიდამან. სტრ. 89.

ტარიელი თავის, სევდით ავსებულ, ოცნებაში იმდენად გართული, იმდენად გადაგარდნილი იყო, რომ მას გარემო სინამდვილის აღმენიდის უნარიც აღარა პერნდა: მას არაფერი ესმოდა: არც მონათა ლაპარაკი, არც ლაშეართა «ზახილი»; იგი ისედებოდა, მაგრამ ვერაფერის პხედავდა; მისი გონიერა მთლიანად მისი ოცნებით დახული, გარემო სინამდვილე მისთვის მთლიანად აღკვეთილი იყო.

ტარიელი იძლევა აქ მექაფიო სურათს აღამიანისა, რომელიც სევდის გავლენით მთლიანად თავისი შინასამყაროსკენ მიბრუნებულა და ინტროვერსის ნამდვილი მსხვერპლია<sup>\*)</sup>.

ავთანდილმაც ტარიელი პირველად შორიდან შეამჩინა და შორიდანვე თავისი თვალებით ნათლად დაინახა ტარიელის ლრმა სევდა, რომელიც თავისი სიძლიერით ტარიელის გარეგნობაში და მის ქუცევებში გამოსჭივივდა, რომელიც მას შოსვენებას არ აძლევდა, მის სულს ლრლნიდა, დასვენების, ძილის და ჭამის საშვალებას ართმევდა, მის სხეულს ასუსტებდა, ჯანით და სისხლით სავსე ვაჟებაცს ზაფრანის ფერს აძლევდა და მუდამ «ვა, მე»-ოს აძახებდა.

ავთანდილ სარემლით უკვრეტდა, ტყვე, საკნით ნაახატები.

— სტრ. 267.

მან ქალმან ხელ-ყო კვესითა გნენება ცეცხლისა ნელისა,  
 ეგონა ჭამა ხორცისა შემწერისა, შეუქმნელისა;  
 მიუპყრა, ერთი ახლიჩა, ქმნაა საქმისა ძნელისა;  
 ძალი არ პერნდა, დაუწყო გამოყრა უცოხნელისა.

— სტრ. 268.

ცოტად მიწერა, მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი;  
 შეკრთა, დიდი დაიზახნა, წამოიცრა, ვითა რეტი,  
 იზახდის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი,  
 ცალ-კერძ ზის და პირსა იხოქს ქალი მისი შენაჭერეტი.

— სტრ. 269.

ასეთი სევდა უბრალო სევდა არაა, რომელსაც აღამიანი ადვილად იტანს და რომელსაც იგი თვისი გულის ერთ კუნ-კულში მალავს და დროგამოშევებით გაიხსენებს; იგი, პირი-იქით, ტარიელის მუდმივი ფიქრის, გრძნობის და ცნობის საგანია: ტარიელის ყოველი დღის, ყოველი წუთის, ყოველი წამის თანამგზავრია.

ამ სევდამ თავისი სიძლიერის სიჭარბით მთლიანად და-ფარა ტარიელის ფსიქიკური სამყარო და აღრია მისი ნორმა-ლური ფუნქციები.

<sup>\*)</sup> ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხილე ჩეენი «ემო-ციური განცდები»-ს მეორე ნაწილი; «კავკასიონი» № 11.

ამ სევდის სიძლიერე იქამდე მივიდა, რომ ტარიელის ცხოვრება აუტანელ ტანჯვად გარდაიქცა; იგი მის სულს და ხორცს ლრღნიდა და ამით ტარიელს გამოუთქმელად აწა-მებდა.

სწორედ ამიტომ ტარიელის მთავარი ფიქრი სიკვდილი გახდა; სიკვდილი, რაც შეიძლება, ახლობელი და, რაც შეიძლება, სწრაფი.

ტარიელი წამ და უწუმ სიკვდილს ნატრობდა და მას თა-  
ვის დამზანელად სთვლიდა:

«ჩემი ლენინი სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა»

სტრ. 274.

«ამ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლენინისა»

სტრ. 881.

«სიკვდილი მახლავს, დამესენ ხანსალა დავყოფ მცირასა;  
არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ? რა დავტჩ ხელსა მხდი რასა?  
დამშლიან ჩემინი კავშირი, შევპროვივარ სულსა სირასა.

სტრ. 884.

სიკვდილზე ასეთი დაეინებითი, გამუდმებული ფიქრი ტარიელისთვის იყო არა მისი სოლლმხედველობის გამოძა-  
ხილი, არამედ მისი ტანჯვის, ამ ტანჯვის მიერ გამოწვეულ  
უსაზღვრო სიმწარის, აუტანლობის შედეგი.

ეს სევდა მით უფრო ძნელი ასატანი დარჩა, რომ თვით ტარიელი, თავისი ბუნებით და ხასიათით, სიცოცხლის მო-  
ყვარული და ხალისანი იყო.

თუ ტარიელის ლრმა, ძლიერი ვნება ნესტანისადმი მო-  
ქმედებას მოკლებული გახდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ტა-  
რიელის მთელი სულიერი არსი და შაშასადამე მისი ვნებაც  
მთლიანად სევდას დაემორჩილა.

მწუხარება, სევდა და დარდი კი ყოველგან და ყოველ-  
თვის უპირატესად მარცხს ხედავენ და ყველა მოვლენებს მა-  
რცხის განათებაში აღიქვამენ; ამით ისინი ადამიანს მოქმე-  
დებაზე ხელს აღიბინებენ, დაბრკოლებათა წინაშე უკუ აქცე-  
ვენ და ჰქმედების მიღწევითი წერტილამდე მიყვანას შეუ-  
ძლებლად ხდია.

სწორედ ამიტომ ტარიელმა ყველაფერზე ხელი აიღო: თა-  
ვის სატრფოს ძებაზეც!

ტარიელის ასეთი სასოწარკვეთილი განწყობილება დიდ-  
ხანს გაგრძელდა: თითქმის ათი წელი (რამაზი—ტარიელს:

\*დაიკარგენით, წახვედით თქვენ წელნი მეათენია\* სტრ. 1610).

ამ სევდიანობის ხანაში ტარიელი სრულიად ინკრიუ-  
ლი იყო.

ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდის ტარიელზე სრულიად სა-  
მართლიანად, მისთვის დამახასიათებელ ავტორიტეტული  
გამჭრილაშობით მჩანებს: «გულისთვებაშ ცნობა წაართვა,  
ცნობის წართმევაშ—ლონე და ულონობაშ მჩარად აქცია ეს  
ახოვანი კაცი»—ო გვ. 424.

ამ ხანებში ტარიელი ყოველგვარ ინიციატივას, სწორ განცემულებას და გონიერ ქცევას მოკლებული იყო; მისი გონიება დანერგული და მისი გრძნობითი სამყარო შევიწროებულია; მას ერთი სიტყვითაც არ გახსენებია თავისი ძვირფასი სამშობლო, თავისი თავდადებული ყმები, თავისი თანამებრძოლი; თავისი გულითადი მეტე და დედოფალი;

ამ ასეთია სევდის გავლენა ადამიანის სულიერ სამყაროზე. სიხულიად საწინააღმდეგო ხასიათისაა სიხარული.

ცნობილია სიხარულის და კრაიკოლების მნიშვნელობა ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ფუნქციებზე;

სიხარული ამ ფუნქციების ამოქმედებას ააღვილებს; და ამით ადამიანს იგი მოქმედებისკენ, აქტივობისკენ შიმართავს.

განახლებულ, მით უმეტეს, სიხარულით ავსილ ადამიანისთვის მოქმედების შიში, მოქმედების დაწყების სიძნელე აღარ არსებობს; იგი აქტივობით სდულს და ყოველი მოქმედება მას სიამოგნებს; ამიტომ სიხარული ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ სამყაროში მოხავებულ ჭარბ ენერგიას ფართე გზას უჩსნის.

ადამიანი სიხარულის ზეგავლენით ველარ ეტევა თავის ნაჭუჭში; მას სჭირია გარედ გამოვლენა; სამოქმედო მოყდანები გამოსვლა; სხვებთან კონტაქტის დაცერა; თავისი კმაყოფილების, თავისი ალტაცების სხვისთვის გაზიარება; სხვისი თვალების, სხვისი ლიმილის, სხვისი ყურადღების თანხლება; ერთი სიტყვით, სხვათა მოყვასობის შეგრძნება; იგი ვერ ითმენს განმარტოებას, რადგანაც ადამიანს უჭირს თავისი სიხარულის მშობლობით საკუთარი თავისთვის შენახვა.

სიხარული ადამიანს თავისი საკუთარი თავის რწმენას, ნდობას ანიჭებს და გამბედანობას ალუდრავს.

სიხარული ადამიანს თვისი მისწრაფებების, თვისი ცხოვრების ლირებულების შეგნებას წარმოშობს და ამით ადამიანის იმედებს ფრთხებს ასხამს.

სიხარულით ავსილ ადამიანისთვის ყველაფერი მომხიბლავი და ლირებული ჩდება; ყველაფერი ადვილად მისაწვდომად ისახება; ისე რომ მისთვის დაბრკოლებათა გარდავალობა პქრება, მისი გეგმები რეალურ შესაძლებლობით იშოს სებიან. განსახორციელებლად აღვილი ხდებიან.

სიხარულის ზემოქმედება განსაკუთრებით დიდია. როცა იგი სევდას სცელის და მის ადგილს იჭერს; როცა სევდის და სიხარულის მონაცელება უშუალოა.

ეს ზემოქმედება მით უფრო დიდია, რამდენადაც უფრო დიდი იყო წინამორბედი სევდა და მის მიერ გამოწვეული ადამიანის ფუნქციების დასუსტების, ადამიანის განკვრძების წამქენებელი ტენდენციები.

შოთა რუსთაველი ყოველივე აშას ნათლად გრძნობს და მას ნათლად გაღმოგვცემს.

ტარიელისთვის სრულიად მოულოდნელად გამოჩენილში აფთანდილმა ამირბარს სანუკვარი ამბავი ამცნ და ამ ამბის დადასტურების ნიშნად მას შისთვის კარგად ცნობილი რი-დეს ნაწილი გადასცა.

ამ მოულოდნელმა დიდმა სიხარულმა ტარიელის უკანა-სკნელი დაბნედის შემდეგ, სრულიას გაპტანტა ტარიელის წყვდიადი ღამე და იქ უცებ მნებ გაანათა; ტარიელის სული-ერი და ხორციელი სამყარო შესცვალა: სევდა და მწერბრება განდევნა; ამ სევდის გაქარვებით ტარიელის ძარლვები ჭარბი სისხლით გაავსო, მისი ფიზიკური ძალები გაზარდა; ჩეკ არ ჰიტყვით: სიხარულმა ტარიელი თვის ეგოზმს მოსწყვიტა, რაღაც ტარიელი ეჭოისტი, თავისი ბუნებით, არასცროს ყოფილა; ხოლო სწორი იქნება ვთქათ, რომ ამ დიდმა სიხა-რულმა ტარიელი თავისი უბრძალების წრეში ჩაკრტვიდან, თვისი პირადი ზრუნვების ეკსკლუზივურ ბატონობიდან და-იხსნა: ყველა თვისი ცნობიერი და არა ცნობიერი ემოციუ-რობა, მთლიანად თავის შინაბუნებისკენ მიმართული, გარე-მო სამყაროსკენ მიაბრუნა და ამით ტარიელს თვისი წონას-წორობა აღუდგინა.

ტარიელს, რომელსაც მრავალი წლების განმავლობაში თვალებზე ცრემლიარ შეშრობია; რომლის გული მუდამ წუ-ხილით და ვარამით იყო სავსე; რომლის ტუჩები ვაისა და ვიშის ძახილზე მიჩვეული იყვენ, ნესტანის დახსნის იმედის ანთებით სრულიად გადახალისდენ.

ტარიელის ზაფრანის ფერი—ვარდის ფერად, მისი სევდა ხალისით შეიცვალა; ტარიელი უკანასკნელ ათ წელს მუდამ მოღუშული, დალრეჯილი, დამწუხრებული, უცებ სიცილის, მლერის და ბავშვური ცელქობის ხასიათზე დადგა.

ამ სიხარულის მიერ წინამორბედ სევდის ალკეთა იმდე-ნად უცები და მძლავრი იყო, რომ მან ასმათიც კი მეტად გა-აკვირება:

ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ ბარგოსანი.

შეკედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი,

ორივე ტურთად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი.

შაშინვე იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი. სტრ. 1355.

აქმდის მიწყივ ენახა ქვაბს მისვლა მოტირალისა, აწ გაუკვირდა დანახვა სიცილით მომღერალისა.

ზარ ალებული ავარდა, ცნობა უც ვითა მთვრალისა,

არ იცის სმენა ამბისა ჯერთ შისგან სასურვალისა. სტრ. 1356.

მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ კარზე მომღერამა სიხარუ-ლმა ტარიელი „გამოალეიძა“, აქტივობა, სწორი განსხვა, სი-ნამდვილის სწორი ალქმა დაუბრუნა; თავისი მდგომარეობის ნამდვილი სახე წარმოუდგინა, დავიწყებულ ვალდებულებათა და მოვალეობათა სრული შეგნება გაულვიძა; ერთი სიტყვით, მისი სულიერი და ფიზიკური წონასწორობა აღუდგინა.

თუ სევდის ბატონობის დროს ტარიელს არც ერთხელ არ გახსენებია თვისი სამშობლო, უკანასკნელის სახითათ მდგომარეობა და სამშობლოს დაცვაზე ფიქრი, სიხარულის გავლენით, ტარიელმა უცებ გაიხსენა ყოველივე ეს; გაიხსენა სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობის და სიჩქარის შეგნებით, თავისი პასუხისმგებლობის ძველებური, მძღავრი წარმოდგენით:

ტარიელ პევანდის ვარდა და იყვის ფიფქისა მთოველად.

ავთანდილ როსტანს წინაშე გაგზავნა დასათხოველად.

შესთვალა: «შენი სიახლე ბმა ჩემად ლხინად ყოველად.

შეტერთა აქც ჩემი სამგრე, ვიცი მუნ შიგან შძოველად.

— სტრ. 1561.

უცების მოსრის მცოდნელთა ცოდნამან, ხელოვნებამან ვეჭვ, მოგცეს თქვენცა დალრეჯა ჩემმან რასაცა ვნებამან, წავიდგ. ავი არ მიყვას მე აქა დაყვანებამან.

ადრე კვლა გნახნე მორჭმული, ინებოს ღმრთისა ნებამან.

— სტრ. 1552.

ამ სიხარულის შემდეგ ტარიელი, როგორც ბაიას თვალებზე ახდილი ან დიდი სიცხისაგან უცებ გათავისუფლებული, სიბრძლიდან და სულიერი დაბრძლიდან გამოვიდა.

ამ ძლიერი სიხარულის გავლენით და შისი ზემოქმედებით ტარიელი ისევ ის გახდა, რაც წინეთ იყო: აქტიური, გონიერი, საზრიანი, გულითადი, სხვათა მოყვარე, სხვებზე მზრუნავი, სხვების მსახური; სამშობლოს მომაგე, სამშობლოს ბეჭდინერებისთვის თავდადებული.

ნესტანის ტყვეობიდან გათავისუფლების შესაძლებლობის დასახვის შემდეგ, ტარიელი ყველა მომავალ ამბავთა ინიციატორი გახდა; ამ მომენტიდან ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ეს ტარიელს სურდა და, როგორც ყოველივე თვით ტარიელმა გაიფიქრა, განსაჯა და გაითვალისწინა.

ამავე დროს ყველაფერი მან საზრიანად, ლაზათიანად, შნოით და მოხდენით გააკეთა, ცხოვრებაში გაატარა.

რუსთაველს, ამ მხრივ არ გამოპარვია ისეთი შესანიშნავი დეტალიც, რომელსაც ბევრი არ კი იცნობდენ და რომლის გაუთვალისწინება «ველის ტყაოსანი»-ს ზოგ ადგილს გაუშენდრა, ახირებულად გახდიდა:

სიხარულით მოცული ადამიანი უმოქმედობას, უმოქმედობას ვერ იტანს; იგი მოძრაობას, აქტივობას ეძლევა; ხშირად ეს აქტივობა გახარებულ ადამიანისთვის მნიშვნელოვანი, სერიოზული ხასიათისაა, ზოგჯერკი სრულიად უმიზნოა: ადამიანი ხტუნავს, კვირის, იცინის, ხან ტირის. მლერის. უწესრიგო, უმიზნო მოძრაობებს ახდენს, სხვებს გულზე იკრავს, მათ მეგობრულ მუჯლუუნებსა ჰკრავს, ხელებს უმტკრევს, ხუმრობს, მასხარობს, ონებს აწყობს და სხვა.

ასეთი ქცევა სიხარულის მიერ დაგროვილი ენერგიის, მოზავებული ძალების, მოწოდების, გრძნობების, სამოქმე-

დოდ მომართული ნებისყოფის უანგარიშოდ დახარჯვის დაუძლეველი მოთხოვნილების გამოვლენაა; იგი სხვადასხვა სახის სულიერ და ხორციელ სიჭარბეთა განტვირთვაა.

ამიტომ სიხარულით მოცული ადამიანი განსაცვიდებელი სიადვილით მუქთად, მხოლოდ საკუთარი სიამოვნების-თვის და აგრეთვე სხვათა საკუთარ სასიხარულო განწყობაში ჩათრევისათვეს, უანგარიშოდ პეტარავს თავის ფსიქიკურ და ფიზიკურ სიმდიდრეს; მსგავსად თამაშში გართულ ბავშვისა, ან ჩვილი ბალისა, რომელიც ხელებს, ფეხებს უწესრიგოდ, უმიზნოდ ამოძრავებს.

პიერ უანგ ასეთ ქცევას «გაფლანგვითი ქცევა»-ს უწოდებს.

სწორედ ამ სიხარულის ზეადაღით; მხოლოდ და მხოლოდ ამ სიხარულის ზეიდაღის მიერ გამოწვეულ «გაფლანგვითი ქცევით» აიხსნება ნესტანის გათავისუფლებისკენ მიმავალ ტარიელის ქცევა ფრიდონის სამფლობელოში შისვლის მომენტში: აქ ტარიელმა ავთანდილი აიყოლია, რომ იმათ ერთად ფრიდონის საქონელზე თვალთქცობითი იერიში მიეტანათ, მეჯღოვები დაეფრთხოთ, აურზაური აეტებათ, აფორიაქება გამოეწიოთ, რომ ბოლოს ეს ყოველივე ორივეს ფრიდონთან ერთად სიცილის და ხუმრობის საგნად გაეხადათ (სტროფები 1375—1381).

ჩვენ მიერ ამ მოკლე წერილში გრძნობათა ერთი წყვილის: სევდის და სიხარულის განხილვიდან ვხედავთ, თუ რაოდენი სისწორით და რაოდენი სილრმით ჩასწედა შოთა რუსთაველი ადამიანის გრძნობათა რაობას.

ასეთივე სისწორით და სილრმით წარმოგვიდგენს შოთა სხვა გრძნობებსაც. ფეთქად ემოციებსაც (აფექტებსაც) და ვნებებსაც, რომელთა შორის ორი: ფეთქადი ემოცია და ვნება ვიკტორ ნოზაძის «კავკასიონი»-ს შეათე და შეთერთმეტ ნომრებში უფრო ფართედ განვიხილეთ და ვსთქვით:

«როცა 800 წლის შემდეგ „ვეფხის ტყაოსანში“ ადამიანის ემოციური ცხოვრების ასეთ სწორ, თანამედროვე ფსიქოლოგიასთან შეფარდებულ აღწერას ვიხილავთ, ჩვენი გული სიამოვნებით, სიხარულით და მართებული სიამაყით იცხება:

ქართველი ერი, რომელმაც კაცობრიობას რუსთაველის მსგავსი გენიალური პოეტი და მწერალი მისცა, რომელ მაც კაცობრივობას „ვეფხის ტყაოსანი“-ს ხარისხის შედევრი შესძინა, ლირისია ამავე კაცობრივობის უალრესი დაფასების, პატივისცემის და აღტაცების.»

ალექსანდრე შათირიშვილი.

1966 წ. საქართველო.



## დღესასწაული—ტყვეობაში!

შპიურ სამშობლოდან ცხრამთას იქით გადახვეწილი ქართველობა, რუსთაველის მალალი იღების მატარებელი. ხალხთა მეგობრობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი უერთდება ქართველი ხალხის ბრწყინვალე დღესასწაულს სულმანათ მგოსნის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წ. შესრულების ალანიშნავად.

რვა საუკუნე, რაც იდეურ სამყაროს უძლეველ მფლობელმა, პოეზიის მწვერვალიდან ელვა-მახვილი სიძლიერით ააქცირა ჩანგი კლდოვანი, საუკუნეთა მანძილზე რომ აფრ-ჭვევს სიყვარულის, რაინდულ ვაჟა-ცობის, მეგობრობის. სიკეთის მარგალიტებს,—და მით აზვირთებს, ასაზრდოებს, ამახვილებს საზოგადოებრივ მოვალეობის გრძნობას—ბოროტების დასასხვერვად, სიკეთისა და პარმონიულ ცხოვ რების დასამყარებლად. მრავალ მტერთა შემოსევამ ვერ ჩააქრო ცეცხლი მისგან დანთებული. უამთა სიავემ ვერ შემუსრა რაინდული სულის ქროლვა. ხალხის გული იყო მფარველი მისი უდიდესი ქმნილებისა, რადგან მისი უკვდავი ბრძნული ჩანაფიქრი კით ჩაუქრობელი ჩირალდანი, წინ მიუძლოდა ქართველობას ყოველ მწუხარების უამს—მანუგეშებლად. მრისხანე გრიგოლებმა არა ერჯერ გადალექს ჩვენი ქვეყანა, მიწასთან გაასწორეს სოფლები და ქალაქები. უბედურებათა ქარიშხალს გადაურჩა ხელი-ხელ საგოგმანებელი ძვირფასი განდი, ქართული კულტურის ჩაუქრობელი ლამპარი «ვეფხის ტყალსანი», ვინ შეუნარჩუნა იგი სამშობლოს! ხალხმა, რომლის მეხსიერებაში. ჩაიმარხა გზის გამჭლევი და მაჩვენებელი, —შოთას ბრძნული თქმულებები და აფორიზმები:

“ჭირსა შიგან გამაგრება

ისე უნდა ვით ქვიტკირსა.”

რომელთა მზიური სწივების ელვარება, მათი დინამიურობა ყოველ ისტორიულ მწუხრისა და ვაების უამს, გამძლეობის, ჭირთა ატანის, იმედის სხივებს, რომ აფრქვევს.

შაგრამ, ჩვენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პირობები დღეს სრულ წინააღმდეგობაში არიან შოთას აზრებთან და იდეებთან, ან ბოლშევიზმს რა აქვს საერთო რუსთაველის პუმანიზმთან? რუსთაველი უგალობს ადამიანის უწმიტეს გრძნობას, ამალებულ სიყვარულს, მეგობრობას. ხალხთა და ადამიანის პიროვნების თავისუფლებას. გაბატონებულ იდეოლოგიაშ სიყვარული ბურჟუაზიულ ცნებად გამრაცხადა, მისი იდეალიზაცია პროზაში და პოეზიაში დეკადაზე მრმართულებათ ალიარა. დამეგობრება წითასწარ ბოროტი მიზნითაა გამსჭვალული. რათა ახლობლის აზრი შეცნობილ

იქნას,—შემდეგ მის მოსასპობათ. ნახევარი საუკუნის მანძილზე კომუნისტურ სამოთხეში დაზრდილ ძმებმა და მეგობრებმა ერთი-მეორეს მოტყუილებით, შეპარვით, ერთი-მეორე გაულიტეს. აწამეს... გაამეფეს ურთიერთ შორის შური, მტრობა, მლიქენელობა, ორპირობა. ადამიანის პიროვნებაც, ხომ ერთი სოციალური ფენომენია დიქტატურისთვის შეწირული.

«ჩვენს მრისხანე საუკუნეში, როცა ისტორიის ბედუულმართობით ქვეყნების სათავეში ზოგჯერ საბედისწერ თ აღზევებულთა ხელში ადამიანის ფასი ისე ეშირად მერყეობს რიცხვებსა და ნულს შორის, როგორც აქციების კურსი ბირჟებზე»). კარგი ნათევამია და ზე გამოჭრილია. საბჭოთა ქვეყანაში—ადამიანის პიროვნებაზე, რომლის ფასი ნულამ დეა დაყვანილი...

შოთა ებრძევის ორპირობას და სიცრუეს, რითაც ხასიათდება კომუნისტური მართველობა და მისი მრავალი:

«თავი სიცრუე—ყოვლის უბედობისა

ვეგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და მოლალატესა».

კომუნისტური პრესა ცდილობს მიითვისოს, ხალხთა მეგობრობის იღეა. საბჭოთა კავშირი,—ერების საპყრობელე, წარმოგვიდგინოს თავისუფალ დამოუკიდებელ ერთა ღანათ, თვალი აუხვიოს ათასწლოვან კულტურულ თავისუფლებას მოყვარულ ერს. ტყუილი ცონებაა, იგი რჩება რუსთაველის დროშის ქვეშ—მართალია შეიმობს, მაგრამ ზეიმობს თავის გულში და ითხოვს შოთას აზრების გახსორციელებას. ისე როგორც მოიმოქმედა ყველა დიდმა იმპერიებმა,—გაიტ სნას ქაჯეთის ციხე და მიეცეს თავისუფლება ქართველ ერს—მაშინ, მხოლოდ მაშინ შეუძლია მოსკოვს წარმოგვითვეს როგორც დამცველი შოთას იდების; დღეს კი 『პრავდას』 ქებადიდება გაულენთილია ფარისევლური ნოტებით...

რუსთაველმა—დაამსხვრია ბოროტება ქაჯეთის ციხის ალებით, ააფრიალა დროშა თავისუფლების. საქართველო ს მიმართ ჩადენილი და გამეფებული ბოროტებაც უნდა დაიმსხვრიას... მოსკოვი წინ ელობება შოთას ხალხთა მეგობრობის იდეას—რა კავშირი აქვს—მას ტარიელ-ავთანდილ-ფრიდ ღნის—ერთა კავშირზე. დამყარებულს სიყვარულზე. მეგობრობაზე, ურთი-ერთ პატივისცემაზე, თავისუფლად დაძმობილ ებაზე?...

ქართული «კომუნისტი» აცხადებს: «შოთას იუბილე—სრული გამარჯვება ლენინურ ეროვნულ პოლიტიკის»... (იხ. 2 ოტომბრის «კომუნ.» №). მოსკოვის მოლალატური და ლენინის მპყრობელი პოლიტიკა უნდა დაფარონ დიდი მგლნის სახელითა და აზრით; საბჭოთა ხელისუ დლება ითვის; მს დიდ პიროვნებებს, ხოლო მათ გენიალურ აზრების გახსე დაიღებაზე უარს ამბობს. კიდევ მეტი. დღეს რომ ისინი ცო-

<sup>1)</sup> იხ. რუსთაველზე «კომუნისტი» № 226.

ცხლები იყვნენ, ალბად ციხეებში იქნებოდნენ გამომწყვდე-  
 ულნი...

უკვდავ პოეტმა ააქლერა ჩანგი ციური სამშობლო—ხა-  
 ქართველოს რეალური სურათების შთაგონებით, საქართვე-  
 ლოს ბრწყინვალე ეპოქის სიმშევნეების დიდი თამარის, მისი  
 სინაზისა და სიძლიერის, მის მიერ შექმნილ ძლევამოსილ სა-  
 ქართველოს საბითებლად, მის კულტურულ ამაღლების, სო-  
 ციალურ-საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების  
 გამოხატვით, რომ დაუდგა სამარალისო ძეგლი ქართველი  
 ხალხის თავისუფლებისთვის ურყევ სურვილს—უკვდავ სა-  
 ყოფად...

«თამარი უეჭველია, ჩვენი ისტორიის გმირია, უმაღლესი  
 მორალური პიროვნებაა,—ამბობს ნოე ქორდანია,—მისი გო-  
 ნება და წერობა პოეტს არ შეეძლო არ გაენაწილებია ნესტან-  
 დარეჯანისთვის... პოეტმა მოგვეცა წარმტაცი იდეალი ქალის  
 სახით. ის საქართველოს ტანჯვა-წვალების, მისი მუდმივი  
 ბრძოლის და საშიშროების გამომხატველი ლამპარია. პოე-  
 ტი ამ სურათით გვეუბნება—ნუ დაეცემით, იბრძოლეთ და  
 გაიმარჯვებთთა»...

დიახ, პოეტმა დიდის ხატოვანებით გამოავლინა ნესტა-  
 ნის სიტყვებით «საქართველო უწინარეს ყოვლისა». როცა  
 იგი შეიტყობს სატრფოსაგან მისი განთავისუფლების ცდებს,  
 მისი აზრი იჭრება სამშობლოსკენ. იგი უთვლის ტარიელს:  
 «მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა»...  
 წადი ინდოეთს მიმართე არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთა-  
 გან შევიწროებულს, ყოველგნით ხელა-პყრობილსა». მრავალ  
 ტანჯვაში გამოვლილი, სასახლიდან გაყიცხული—მისი გული  
 მაინც იწყის სამშობლოს ბედით... და ამით პოეტმა ადამიან-  
 ში ჩამარხული მარადიული ლტოლვა თავისუფლებისკენ—  
 საუკუნეთა სილრმიდან, ამოლებული მხიურ ბრწყინვალებით  
 შემოსა.

კომპარტიის პრესა ძალიან ცდილობს რუსთაველის იუ-  
 ბილე გამოიყენოს თავის პარტიული მინზებისთვის. ქართვე-  
 ლი ხალხის დლევანდელი ზეიმიკი ერწყმის მის სურვილს ბო-  
 როტების დასამსხვრევად, ეროვნული თავისუფლების დრო-  
 შის აღსაშართავად... ამიტომაც დაუდგა ქართველ ერმა, მეც-  
 ნიერთა-მეცნიერს, ბრძენთა-ბრძენს უჭინობი გვირგვინი—  
 დიდებისა, და საქართველოს საყვარელ მგლსანმა აკაკიმ მო-  
 კრძალებით უგალობა:

«ხულმნათო მადლი შენს გამჩენს,  
 დიდება ერსა შენს მშობელს»...

ამირანი.



### ამა. შალვა აბდუშელის ხსოვნას

მიმდინარე წლის 12 თებერვალს უცხო მიწას მივაბარეთ შალვა აბდუშელი. მისმა სიკედილმა გულის სილრმემდის აალელვა მოელი ემიგრაცია.

დავკარგეთ ადამიანი დილი მორალისა და უაღრესათ ფაქტიზი გულისა, ღრმა და გულწრფელი პატრიოტი, სოციალურ სამართლიანობის—სპეციალური იდეალის მოტივისალე და მისთვის მებრძოლი. ერთი სიტყვით, მრავალ ლირსებით დაჯილდოებული მეგობარი მოგვიორდა: კარგი ადამიანი, კარგი ქართველი, კარგი—ჭეშმარიტი სოციალისტი—და კარგი ქართული ოჯახის ფუძემდებელი.

მისი ჭაბუკობის დროიდან შალვა ჩაბმული იყო საერთო განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, მისი სახოგადოებრივ პოლიტიკური მოღვაწეობა იწყება საქართველოში, გრძელდება პეტროგრადში, სადაც ის ერთი მეთაურთაგანია სტუდენტთა მოძრაობაში. ბრუნდება დაშლუკიდებელ საქართველოში. სადაც ის მშრომელი ხალხის მაღალი ნდობით აღჭურვილი. მივლინებულია მისი სამართლიანი ინტერესების სადარაჯო პოსტზე.

ცხოვრების შემდეგ ეტაპზე—ემიგრაციაში—მისი როლი და საქმიანობა ხომ ყველასთვის ცნობილია: ხათვისტომოს სათავეში, როგორც მისი თავმჯდომარე, მრავალ წლების მანძილზე, ის თავდადებით, დაუღალავათ მას ემსახურება.

წყარო მისი მოლვაშენობისა და აქტოობისა სოციალდემოკრატიული პარტია იყო, რომლის ემბაზში ის იმ თავითვე მოინათლა.

შალვას შეგნებული ცხოვრება მთლიანად იმას მოწმობს. რომ მის წარმოდგენაში, პარტია, იყო რა ერთის სამსახურში ჩაბმული, მასთან ერთი და განუყოფელი დარჩა ბოლომდის. განსვენებულის როლი სოციალდემოკრატიული პარტიის წილში მეტად მნიშვნელოვანია, რაც პარტიის მატიანეში სათანადოთ აღიძეს და.

დასტირის ჩვენს კარგ შალვას მის, გულდამწვარ ოჯახ-თან ერთად, მისი მეგობრები, დასტირის მას მთელი ქართველობა.

### შალვა აბდუშელის ჰაბრმალვა

შალვა აბდუშელის დასაფლავება 1966 წ. 12 თებერვალს, იყო ნამდებილი შანითესტრაცია იმ დიდი სიმპატიისა, რომლითაც განსვენებული სარგებლობდა, როგორც თავის თანამემამულებში, ისე ფრაგებში (და ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია), რომლებიც მრავლად იღებდნენ მონაწილეობას საგლოვარო პროცესიაში.

S-t Cloud, ეს ცნობილი პარიზის განაპირაქალაქი, ამ დღეს ქართველებს ეკუთხნდა, გაისმოდა დამსწრეთა შორის.

სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთვევს: ბ. ბ. ნ. ცინცაძემ, მ. ქავთარაძემ, გრ. წერეთელმა და ფრანგულ ენაზე ლ. ზურაბიშვილმა.

განსვენებულის კუბოს ამქობდა უამრავი ცოცხალი ყვავილების გვირგვინები.

### ნ. ცინცაძის ხიტყვა

ჩვენი საყვარელი შალვა წავიდა. სათნოების და კეთილშობილების შუქის მომცენი, დიდი და მაღალი რწმენის და იდეალის მატარებელი, მისთვის თავდადებული მებრძოლი მეგობარი დავკარგეთ.—კიდევ ერთს, მწვავედ საგრძნობს სიცარიელეს ჩვენს გარშემო ვეზიარეთ.—შალვა იმ თავიდან, შორეულ ახალგაზრდობიდან, ბრძოლაში ჩაება ცხოვრების უსამართლობისა და უკულმართობის წინააღმდევ: ეს იყო ბრძოლა რუსულ იმპერიალიზმისა და ცარიზმის წინააღმდევ: ჯერ კიდევ საქართველოში, შემდეგ რუსეთში—პეტროგრადში. აქ მას სტუდენტობის მოძრაობის პირველ რიგებში ვხედავთ. რეპრესიის მსხვერპლი გახდება, მაგრამ ის არჩეულ გზას უშიშრათ მიპყვება...

საქართველოს დამოუკიცებლობის ხანაში მას მმიმე და დიდი მისია დაევალება: ის არის პროფესიონალურ კავშირების ხელმძღვანელი—გენერალური მდივანი, მისი პორტაროლი. დიდი ღირსებით ასრულებს დაკისრებულ მისიას.—

საქართველოს დაპყრობა... ძალიან მაღვ მისთვის ციხის კარები გაიხსნება და—თითქმის ორი წლით ჩაკეტდება. ამას მოყვება უცხო მოძალადების მიერ მშობლიურ მიწიდან მისი მოწყვეტა,—ეს იყო ნამდვილი ეპოქა ნებართველთა ჯგუფისა, რომლის ერთ მთავარი სულის ჩამდგმელი ზალვა იყო.— მეტების შიგნით მტერს ბრძოლა მიეცა. გარედან მეგობრები გვაცნობებენ მიღებულ გადაწყვეტილებას—ციხეს ალყა შემოარტყან ჩვენი განთავისუფლების შინით: სულიერ ალტკინება მაშინ ისეთი იყო, რომ ყველაფერი შესაძლებლათ ეჩვენებოდათ. ჩვენ კი, ჩემთ მეგობარო, განზრახული წამოწყება კეთილშობილ ავანტიურათ გვეჩვენებოდა: ის საბოლოო ანგარიშში, ხალხის სისხლით შეიღებდებოდა და ამიტომ უარყევით.—სამაგინეროთ, როცა მოსკოვში, ვაგონებში გამომწყდეული, დავინახავთ, რომ მტერს სიტყვის დარღვევა მოუსურვებია და შორეულ ჩრდილოეთისკენ გვიმზადებს გზას, ჩვენ, ჩემთ ძვირფასო ზალვა, მსხვერპლის და სისხლის გალებაც გადავწვიტეთ. ამ დღიდან, შენი ქცევით, კიდევ მეტად დაიმსახურე მეგობრების სიყვარული და პატივისცემა — ამ რიგათ, ბრძოლით ტყვეობას თავი დავალწიეთ და თავისუფალ სამშენებლობის გამოყენით.

